საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №175/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 21 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 19 ოქტომბრის №175/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 9 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ მოსამართლემ აღნიშნა, რომ პირველი შემთხვევა არ იყო, როდესაც მოპასუხე მხარეს მოქალაქე უჩიოდა და ახსენა გვარი --. ასევე, საჩივარზე თანდართულ მასალებში მითითებულია, რომ მოსამართლემ გამოთქვა აზრი, რომ იმედოვნებდა -- -- არ გაასაჩივრებდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და 200 ლარის გამო არ არბენინებდა სასამართლოში მოხუცს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2018 წლის 30 აპრილს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2018 წლის 11 მაისს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2018 წლის 18 მაისის განჩინებით მთავარი სხდომა 2018 წლის 31 მაისს დაინიშნა.

2018 წლის 31 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი -- -- მიმართ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 29 ივნისს -- -- წარადგინა საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე.

2018 წლის 4 ივლისის განჩინებით -- -- მიერ წარმოდგენილი საჩივარი, -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

2018 წლის 24 ივლისს კერძო საჩივარი წარადგინა -- -- 2018 წლის 4 ივლისის განჩინებაზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 21 ივნისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ, მოსამართლის მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

ბანგალორის პრინციპების პირველი ღირებულების მიხედვით სასამართლოს დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტია. ბანგალორის პრინციპების 1.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს თავისი სამოსამართლო ფუნქცია დამოუკიდებლად, მხოლოდ ფაქტების შეფასების საფუძველზე, სამართლის შეგნებული გაცნობიერების შესატყვისად და ყოველგვარი გარეშე ზემოქმედების, წაქეზების, იძულების, მუქარის ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს; ამავე პრინციპის 1.2. მუხლის თანახმად მოსამართლეს დამოუკიდებელი პოზიცია უკავია მთლიანად საზოგადოებისა და იმ სასამართლო საქმის კონკრეტული მხარეების მიმართ, რომელზეც გადაწყვეტილება გამოაქვს; ხოლო 1.6 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა გამოავლინოს და წაახალისოს მოსამართლეთა ქცევის მაღალი სტანდარტები, სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით, რაც უმნიშვნელოვანესია სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელშეწყობისთვის.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ბანგალორის პრინციპების 2.4. პუნქტის თანახმად მოსამართლემ არ უნდა გააკეთოს რაიმე კომენტარი ისეთ საქმეზე, რომელსაც ის განიხილავს ან რომელიც შეიძლება გახდეს მისი განხილვის საგანი, რამაც შეიძლება გონივრული მოლოდინის ფარგლებში ზეგავლენა მოახდინოს ასეთი საქმისწარმოების შედეგზე, ან დააზიანოს პროცესის აშკარა სამართლიანობა. მოსამართლემ არ უნდა გააკეთოს რაიმე კომენტარი საჯაროდ ან იმგვარად, რომ გავლენა მოახდინოს ვინმეს წინააღმდეგ ან რაიმე საკითხის გამო წარმართულ სამართლიან პროცესზე.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ სამოსამართლო ფუნქციების განსაკუთრებული ხასიათი და სასამართლოს ინსტიტუტის ღირსების შენარჩუნების და მოსამართლეების ყველა სახის ზეწოლისაგან დაცვის აუცილებლობა გულისხმობს, რომ მოსამართლეები ისე უნდა იქცეოდნენ, რომ თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი ან თავიანთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“. მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლეები „ყოველთვის უნდა იქცეოდნენ იმგვარად, რომ შეინარჩუნონ დაკავებული თანამდებობის ღირსება და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.“

მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით, მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს, როგორც მოსამართლეების მიერ სამოსამართლო ფუნქციების, ისე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით, მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ 2018 წლის 31 მაისის სასამართლო სხდომის დეტალური გაანალიზება შესაძლებელი გახდა აღნიშნული სხდომის ვიდეოჩანაწერის საშუალებით, რომელშიც ზედმიწევნით კარგად ისმის მთელი პროცესის მიმდინარეობა.

-- -- სასამართლოში გამართულ 2018 წლის 31 მაისის სხდომაზე, მოსამართლე -- -- მიერ დამსწრე პირებისთვის მიმართვა, რომ „მართალია, 100 პროცენტით არ გაქვთ მინდობილობა წარმოდგენილი და ფიზიკურ პირს არ წარმოადგენთ, მაგრამ მაინც მინდა რაღაც დოზით მორიგებაზე გაგესაუბროთ, ხედავთ 87 წლის ადამიანია, დავის საგანი არის 200 ლარი და ძალიან მინდა, ამ საკითხთან დაკავშირებით მორიგებას მიაღწიოთ მხარეებმა... 87 წლის ადამიანია, ხანდაზმულთა პანსიონატში ცხოვრობს და იქნებ გადაუხადოთ ეს 200 ლარი“... მიზნად ისახავდა დავის მორიგებით დასრულებას. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა მხარეთა შორის მორიგების მიზნით მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განუმარტოს მხარეებს საქმის მორიგებით დასრულების მნიშვნელობა და შესთავაზოს მხარეებს მორიგება.

კონკრეტული სხდომის ვიდეო ჩანაწერის დეტალურად გაცნობის შედეგად, მარტივი აღსაქმელია, რომ მოსამართლე -- -- მიმართვა მხარეთათვის ემსახურებოდა მხოლოდ მათ მორიგებას. რაც შეეხება, მოსამართლის მიერ პროცესის მსვლელობისას იმ ფაქტის აღნიშვნას, რომ „მესამე სარჩელია -- წინააღმდეგ, რაც მე ვნახე, -- იყო იქ მხარე“ აღსანიშნავია, რომ მხარეთა სახელის და გვარის შემცველი მონაცემების განთავსება სისტემატურად ხდება სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე და მოსამართლის მიერ პროცესის მსვლელობისას მხოლოდ მხარის გვარის ხსენება არ წარმოადგენს ისეთი ინფორმაციას, რაც წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას და რამაც შეიძლება დააზიანოს მხარის ინტერესები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 9 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №175/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი